*<u>პროექტი</u>*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**---მარტი 2023 წელი**

**ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდა წყლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეზღვაურის იულია ფაილოძის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდა წყლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მეზღვაურის იულია ფაილოძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X:473622 Y:4621016
X:473561 Y:4620956
X:473546 Y:4620876
X:473550 Y:4620860
X:473731 Y:4620779
X:473805 Y:4620723
X:473811 Y:4620712
იულია ფაილოძის ქ.
X:474129 Y:4620544
X:474188 Y:4620561
X:474119 Y:4620544
N
1:3,000

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 19/032217164-03
თარიღი: 20.06.2022 17:32
ვადა: 21.12.2022

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

მაია ბუთბაია პირადი ნომერი: 01024030885
მისამართი: ქ.თბილისი, ბუდაპეშტის ქ.3ა, მე-3 სადარბაზო, ბინა 73.
საკონტაქტო ინფორმაცია: 577469704;
რეგიონი:

---

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სახელდება და სიმბოლიკა
დასახლებული ტერიტორია
ქმედება: სახელის დარქმევა

---

## მოთხოვნის ტექსტი

გთხოვთ, მიანიჭოთ სახელწოდება თბილისში, ვაკის რაიონში, წმინდა წყლის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ქუჩას, რომელზე არსებულ ნაკვეთებზეც მფლობელთა ნაწილმა უკვე ააშენა სახლები და გადავიდა საცხოვრებლად.ჩემი ნაკვეთის საკადასტრო კოდია: 72.16.27.117

---

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა: პირადი უზრუნველყოფით ხელზე გატანა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0323045125**
თარიღი: **14/02/2023**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მაია ბუთბაიას 2022 წლის 23 ივნისის საქმე #19/032217164-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ვაკის რაიონში, წმინდა წყლის ქუჩის მიმდებარედ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება (ს.კ.72.16.27.117).
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 1 (ერთი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01230462031**
თარიღი: **15/02/2023**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 14.02.2023 წლის #03-0323045125 (14.02.2023 წ. #14-01230453346-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

## იულია ფაილოძე

(1919-2000)

**შორეული ნაოსნობის პირველი ქართველი მეზღვაური ქალი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე.**

იულია ფაილოძე 1919 წელს, ხონის რაიონის სოფელ დიდღვაბუნაში დაიბადა. მალე მისი ოჯახი საცხოვრებლად აფხაზეთში, აგუძერაში გადავიდა. 7 კლასის დასრულების შემდეგ იულია ბათუმის საზღვაო ტექნიკუმში, ჰიდროტექნიკურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მასთან ერთად კიდევ 3 გოგო სწავლობდა: ნინო კალანდაძე, შუშანა თუმანიშვილი და ვაიდე გვარიშვილი. იულიას სწავლა თავიდანვე გემთწამყვანობაზე უნდოდათ, მაგრამ გოგოობის გამო არ მიიღეს, თუმცა მოგვიანებით მან თავისი სურვილის ასრულება მაინც მოინდომა და გემთწამყვანობაზე გადავიდა.

გემთწამყვანობის ფაკულტეტზე კარგად სწავლობდა. დირექციის პატივისცემაც დაიმსახურა, თუმცა როცა პრაქტიკის დრო დადგა, მას კიდევ ერთი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. ტექნიკუმის ხელმძღვანელობამ გემზე გაშვებამდე მის მშობლებთან პირისპირ შეხვედრა მოისურვა, თუმცა გამოსავალს მალევე მიაგნო: ნაცნობ-მეზობლებს მოელაპარაკა და დედ-მამის ნაცვლად ტექნიკუმის

ხელმძღვანელობას ისინი შეახვედრა. იულია ფაილოძემ სწავლა 1940 წელს დაასრულა.

სწავლის დასრულების შემდეგ იულია ფაილოძე შორეული ნაოსნობის შტურმანი გახდა. თუ წასვლაა, წასვლა იყოს. მე შორეულ აღმოსავლეთში წავიდოდი, ქვეყანას ვნახავდი, საზღვარგარეთ ვიცურავებდი. მთელი ქვეყანა უნდა მოვიაროთ — ამბობდა იულია.

იულია ვლადივასტოკის სანაოსნოში გაანაწილეს. ოჯახმაც მაშინ გაიგო, რომ ის სინამდვილეში გემთწამყვანობაზე სწავლობდა. იულიამ თბომავალ „არქტიკაზე“ კაპიტნის მეოთხე თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. მალე უფრო დიდ გემზე „მინსკზე“ გადაიყვანეს. სწორედ მის საჭესთან იდგა და ამერიკისკენ მიემართებოდა, როცა რადისტმა მეორე მსოფლიო ომის დაწყების ამბავი ამცნო. მიუხედავად იმისა, რომ „მინსკი“ სავაჭრო გემი იყო, ამიერიდან მისი ეკიპაჟიც საომარ რეჟიმზე გადავიდა.

1945 წელს იულია უდიდეს გემ „ვოიკოვზე“, კაპიტნის მეორე თანაშემწად დაინიშნა. საბოლოოდ იულია ოდესის სანაოსნოში გადავიდა. 1948 წელი საბჭოთა კავშირში ხელისუფლების განკარგულებით, ქალ მეზღვაურებს ფლოტში სამსახური აეკრძალათ. იულია საქართველოში ისე დაბრუნდა, რომ კაპიტანი ვერ გახდა. იულია ფაილოძეს პროფესიასთან კავშირი ბოლომდე მაინც არ გაუწყვეტია. 1949 წლიდან ბათუმის საზღვაო სასწავლებელში, ხელმძღვანელის მოადგილედ მუშაობდა.

იულია ფაილოძე ბათუმში 2000 წელს გარდაიცვალა.